



2025 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვარ-ნოემბრის
შესრულების

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
დეკემბერი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 24,726.5 მლნ ლარი

წლიური გეგმის 89.7%

გადასახდელები - 23,210.2 მლნ ლარი



წლიური გეგმის 83.1%

ნაშთის ცვლილება
1,516.3 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო
2,343.4 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
247.2 მლნ ლარი


შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



გადასახადების სტრუქტურა




ხარჯების სტრუქტურა




სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით^[1], შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,560.8 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-ნოემბერში მიღებული შემოსულობები 24,726.5 მლნ ლარს (წლიური გეგმის 89.7%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,824.7 მლნ ლარით (8.0%-ით) აღემატება.



შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, წლიური გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (91.9%), არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები შედარებით მაღალი მაჩვენებლით (93.0%) გამოირჩევა, ხოლო ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლებით შემოსულობები შესრულების დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 75.1% და 76.1%).


2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელებს წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,941.7 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-ნოემბერში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 23,210.2 მლნ ლარს (წლიური გეგმის 83.1%) შეადგენს, რაც 653.5 მლნ ლარით (2.9%-ით) მეტია წინა წლის 11 თვის მაჩვენებელთან შედარებით.




გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, წლიური გეგმის მიმართ, ხარჯებისა და ვალდებულებების კლების კომპონენტები კარგი შესრულებით გამოირჩევა (შესაბამისად, 87.9% და 93.1%), ხოლო ფინანსური და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები შესრულების დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 75.4% და 55.8%).

[1] საქართველოს პარლამენტის მიერ 2024 წლის 10 დეკემბერს მიღებული საქართველოს კანონი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, 11 თვეში, 2,343.4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - 247.2 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021-2025 წლების 11 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2025 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,386.2 მლნ ლარი შეადგინა. იანვარ-ნოემბერში მიღებული შემოსულობების და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვება 1,516.3 მლნ ლარს გაუტოლდა და 2025 წლის 1 დეკემბრისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2,902.5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2021-2025 წლების 11 თვეში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ნოემბრის მაჩვენებლები


2025 წლის ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 2,035.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც ოქტომბრის მაჩვენებელზე 166.6 მლნ ლარით ნაკლებია (ძირითადად, შემოსავლების შემცირების გავლენით), ხოლო წინა წლის ნოემბრის მაჩვენებელთან შედარებით, 85.4 მლნ ლარით გაზრდილია. რაც შეეხება 2025 წლის ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა 1,900.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც ოქტომბრის მაჩვენებელზე 132.6 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო 2024 წლის ნოემბრის მაჩვენებელს 154.6 მლნ ლარით ჩამორჩება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, 2023-2025 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




რაც შეეხება ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების კომპონენტებს:


შემოსავლების სახით 1,788.5 მლნ ლარია მიღებული (შემოსულობების 87.9%), ვალდებულებების აღების შედეგად შემოსული სახსრები 221.2 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მაჩვენებლები, შესაბამისად, 5.3 მლნ ლარს და 20.4 მლნ ლარს უტოლდება.



ნოემბერში გაწეული ხარჯების მოცულობა 1,493.3 მლნ ლარს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები 179.0 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების მაჩვენებლები - შესაბამისად, 27.0 მლნ ლარს და 200.8 მლნ ლარს.




საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც ნოემბერში მიღებული მთლიანი შემოსულობების 82.9% და შემოსავლების 94.3% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან 1,686.6 მლნ ლარი მიიღო, ოქტომბრის მაჩვენებელზე 196.2 მლნ ლარით ნაკლები, რაც ძირითადად სხვა გადასახადის მნიშვნელოვან კლებას უკავშირდება (163.3 მლნ ლარით შემცირებულია და -31.1 მლნ ლარს შეადგენს^[2]). შემცირებულია, ასევე, დღგ (69.3 მლნ ლარით), აქციზი (17.2 მლნ ლარით, ძირითადად, იმპორტირებული ბენზინისა და დიზელის დაბეგვრიდან შემოსავლის კლების გავლენით) და იმპორტის გადასახადი (0.9 მლნ ლარით). დანარჩენი გადასახადები მომატებულია: მოგების გადასახადი - 40.8 მლნ ლარით, ხოლო საშემოსავლო გადასახადი - 13.7 მლნ ლარით.

ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



ხარჯების სახით (რომელიც გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტია და მის 78.6%-ს შეადგენს), ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,493.3 მლნ ლარი გაიწია, რაც წინა თვესთან შედარებით 286.9 მლნ ლარით ნაკლებია, ყველა სახის ხარჯის შემცირების გავლენით. კერძოდ: პროცენტის მუხლით ხარჯები 66.9 მლნ ლარით შემცირებულია, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 69.1 მლნ ლარით, სხვა ხარჯები - 54.4 მლნ ლარით, სუბსიდიები - 21.7 მლნ ლარით, გრანტები - 14.8 მლნ ლარით, ხოლო შრომის ანაზღაურებისა და საქონელისა და მომსახურების ხარჯები - შესაბამისად, 23.4 მლნ ლარით და 36.7 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2025 წლის ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 295.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - 121.6 მლნ ლარი.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ნოემბერში მიღებული შემოსულობებისა (2,035.4 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,900.0 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილებამ (დაგრძელება), 135.4 მლნ ლარი შეადგინა.

[2] 2016 წელს სახაზინო კოდეხის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის მაჩვენებელი კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2025 წლის იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 24,726.5 მლნ ლარს შეადგენს. შემოსულობების ფორმირება, ძირითადად, შემოსავლებისა და აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის კომპონენტების ხარჯზე განხორციელდა, რომელთა წილობრივი მაჩვენებლებიც შემოსულობების, შესაბამისად, 87.1%-ს და 10.5%-ს უტოლდება. შემოსავლები, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში, 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია (2023 წელს შემოსავლების წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 83.6%-ს შეადგენს, 2024 წელს - 85.4%-ს), ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ნომინალური და წილობრივი მაჩვენებლები კი, შემცირებულია (2023 წელს - 14.6% და 2024 წელს - 12.2%-ია). 2025 წლის 11 თვეში, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობების ჯამური წილი მთლიან შემოსულობებში მცირეა და 2.3%-ს შეადგენს (2024 წელს 2.4%-ია, ხოლო 2023 წელს - 1.8%).




შემოსავლების სახით, 11 თვეში 21,539.2 მლნ ლარია მიღებული, წლიური გეგმის 91.9%, წინა წლის მაჩვენებელზე 1,971.3 მლნ ლარით (10.1%-ით) მეტი. რაც შეეხება გეგმის შესრულებას შემოსავლების კომპონენტების მიხედვით, წლიურ გეგმასთან მიმართებით, გადასახადები კარგი შესრულებით ხასიათდება, ხოლო სხვა შემოსავლები და გრანტები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

იანვარ-ნოემბერში მიღებული გადასახადები 19,745.6 მლნ ლარს, წლიური გეგმის 90.2%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით გადასახადების წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლები 83.1%-92.9%-ის ფარგლებში მერყეობს, (მ.შ. მოგების გადასახადი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი შესრულების დონით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 2025 წელს მისი გეგმა განსაზღვრულია 510.0 მლნ ლარით, 11 თვეში კი მიღებულია 589.8 მლნ ლარი. 2024 წლის 11 თვესთან შედარებით, გადასახადები 1,687.8 მლნ ლარით (9.3%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის 13.0%-იან ზრდას, აგრეთვე, დღგ-ის (5.9%-ით) მატებას უკავშირდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 642.4 მლნ ლარით (12.6%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-ნოემბერში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 7,264.9 მლნ ლარი ჩაირიცხა, წინა წელთან შედარებით 406.8 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და განუული მომსახურებიდან შემოსულია 250.7 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 156.1 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 8.9%-ით (192.8 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ერთი მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან აქციზის (46.5 მლნ ლარით) შემცირების და მეორე მხრივ, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის (239.2 მლნ ლარით) ზრდის გავლენით (მ.შ. იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან, აქციზის სახით, მიღებულია 162.0 მლნ ლარით მეტი შემოსავალი).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2024-2025 წლების 11 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი (218.2 მლნ ლარი), წლიური გეგმის მიმართ 9.1%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა, რაც ძირითადად დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 11 თვეში მიღებულია 69.0 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). გარდა ამისა, ბიუჯეტში ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან, გრანტის სახით, მიღებულია 115.7 მლნ ლარი (წლიური გეგმის 82.7%) და საინვესტიციო გრანტები, 33.5 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 55.8%).

სხვა შემოსავლების სახით, იანვარ-ნოემბერში, ბიუჯეტში მობილიზებულია 1,575.5 მლნ ლარი, წლიური გეგმის 116.7%, წინა წლის მაჩვენებელზე 336.1 მლნ ლარით (27.1%-ით) მეტი. აღნიშნული გადაჭარბება საკუთრებიდან შემოსავლების, კერძოდ, ეროვნული ბანკის მოგებიდან, მიმდინარე წელს, ბიუჯეტში მნიშვნელოვანი, 370.1 მლნ ლარიანი მეტობით (670.1 მლნ ლარის ოდენობით) თანხის ჩარიცხვას უკავშირდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი შემოსავლებია, ასევე, მიღებული პროცენტისა (276.6 მლნ ლარი) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერების სახით (297.4 მლნ ლარი).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (278.9 მლნ ლარი), წლიურ გეგმასთან მიმართებით, მაღალი შესრულებით გამოირჩევა და 93.0%-ს შეადგენს (რაც არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან, კერძოდ, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან ბიუჯეტში თანხების გადაჭარბებით ჩარიცხვას უკავშირდება), ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 42.2 მლნ ლარით (17.8%-ით) აღემატება.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (ძირითადად, გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, 300.2 მლნ ლარს, წლიური გეგმის 75.1%-ს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 10.0 მლნ ლარით (3.2%-ით) ნაკლებია.


ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, 11 თვეში, 2,608.2 მლნ ლარს, წლიური გეგმის 76.1%-ს შეადგენს. მ.შ. საგარეო დაფინანსების წყაროდან მიღებულია 1,178.8 მლნ ლარი (წლიური გეგმის 64.6%). კერძოდ, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით ბიუჯეტში 439.4 მლნ ლარია შემოსული (წლიური გეგმის 73.2%), ხოლო საინვესტიციო კრედიტების სახით - 739.3 მლნ ლარი (წლიური გეგმის 60.3%).

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 1,429.4 მლნ ლარი (წლიური გეგმის 89.3%) შეადგინა.

	2025 წლის გეგმა	11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	3,425.9	2,608.2	76.1%
საშინაო	1,600.0	1,429.4	89.3%
საგარეო	1,825.9	1,178.8	64.6%
საბიუჯეტო კრედიტები	600.0	439.4	73.2%
საინვესტიციო კრედიტები	1,225.9	739.3	60.3%

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2025 წლის იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 23,210.2 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 82.7%-ის ოდენობით, ხარჯებზე მოდის, რომელიც როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში, 2023-2024 წლებთან შედარებით, გაზრდილია. კერძოდ: 2023 წლის იანვარ-ნოემბერში, ხარჯების წილი გადასახდელებში 76.6%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის იანვარ-ნოემბერში - 77.9%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2025 წლის იანვარ-ნოემბერში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 10.2% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 1.4% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 5.7%. 2024 წლის იანვარ-ნოემბერში, მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 15.9%-ის, 1.0%-ის და 5.2%-ის ოდენობებით, ხოლო, 2023 წლის იანვარ-ნოემბერში - 17.1%-ის, 1.2%-ის და 5.1%-ის ოდენობებით.



მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში, ხარჯებმა 19,195.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 87.9%-ია. ხარჯების კომპონენტებიდან, წლიურ გეგმასთან მიმართებით, სუბსიდიების (93.7%), სოციალური უზრუნველყოფის (92.6%) და პროცენტის (90.3%) მუხლები შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა, ხოლო შრომის ანაზღაურების (85.6%), გრანტების (85.1%), სხვა ხარჯების (82.7%) და საქონლისა და მომსახურების (79.5%) მუხლები შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება. ხარჯების მოცულობა, 2024 წლის 11 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 1,617.3 მლნ ლარით (9.2%-ით) გაზრდილია, რაც დაკავშირებულია ხარჯების თითქმის ყველა კომპონენტის (გარდა სუბსიდიებისა) მატებასთან, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი (735.8 მლნ ლარით) ზრდის გავლენით.


პროცენტის მუხლით გაწეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (1,575.9 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 879.3 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 696.6 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (7,820.2 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (5,733.6 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (1,516.3 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (425.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2024-2025 წლების 11 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (2,375.1 მლნ ლარი) წლიური გეგმის 55.8%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (1,074.1 მლნ ლარი) მიიმართა. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა, აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (196.1 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (167.5 მლნ ლარი), განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (142.6 მლნ ლარი), თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (119.0 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (112.6 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (95.5 მლნ ლარი), საზოგადოებრივ წესრიგსა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავებაზე (87.9 მლნ ლარი) და ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (58.5 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (320.0 მლნ ლარი) წლიური გეგმის 75.4%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები გადანაწილებულია თავდაცვის სამინისტროზე (87.1 მლნ ლარის ოდენობით), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე (21.1 მლნ ლარის ოდენობით), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (74.5 მლნ ლარის ოდენობით) და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (137.2 მლნ ლარის ოდენობით).



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (1,319.3 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით ხასიათდება და წლიური გეგმის 93.1%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი ნაწილი, 1,287.3 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	2025 წლის გეგმა	11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	1,416.7	1,319.3	93.1%
საშინაო	42.9	32.1	74.7%
საგარეო	1,373.8	1,287.3	93.7%


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 11 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 8 პროგრამულ კოდს, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება:

- “სახელმწიფო კლინიკების მართვა” (პროგრამული კოდი - 27 03 05) - 14.6 მლნ ლარის ოდენობით;
- “სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი” (პროგრამული კოდი - 58 00) - 2.5 მლნ ლარის ოდენობით;
- “არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა” (პროგრამული კოდი - 31 05 21) - 2.4 მლნ ლარის ოდენობით.
- “მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა” (პროგრამული კოდი - 31 05 22) - 1.8 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 60 00) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- “ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი” (პროგრამული კოდი - 59 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 28) - 23.0 ათასი ლარის ოდენობით.
- „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 01 13) - 6.4 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, იანვარ-ნოემბერში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 2,891.1 მლნ ლარი, წლიური გეგმის 91.6%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 1,157.5 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 499.0 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს, 657.3 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 1.3 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე 425.0 მლნ ლარი მიიმართა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ათვისებულ იქნა თანხები, შესაბამისად, 581.8 მლნ ლარის, 48.0 მლნ ლარის და 3.0 მლნ ლარის ოდენობით.

იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 21,570.9 მლნ ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 82.6%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები ფუნქციონალურ ჭრილში:


2025 წლის 11 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლები ფუნქციონალურ ჭრილში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 11 თვის გადასახდელებიდან (23,210.2 მლნ ლარი), მხარჯავ დაწესებულებებზე 18,571.0 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 4,639.2 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 20.0%). თავის მხრივ, მხარჯავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 17,553.6 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 75.6%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 1,017.4 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარჯავ დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 4.4%).

2025 წლის 11 თვეში გაწეული გადასახდელების სტრუქტურა (მლნ ლარი)



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის იანვარ-ნოემბერში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 11 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის გეგმა	11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	121.0	97.9	80.9%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	947.0	544.7	57.5%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,125.0	2,086.8	66.8%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	442.0	320.9	72.6%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	8,820.0	8,017.7	90.9%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	215.0	177.3	82.5%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,730.0	1,450.5	83.8%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,395.0	1,212.5	86.9%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808.1	688.1	85.2%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	3,085.0	2,443.0	79.2%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	297.6	225.1	75.6%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	298.4	289.1	96.9%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 97.9 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (121.0 მლნ ლარი) 80.9%-ს შეადგენს.




ფინანსთა სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-ნოემბერში გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი აღემატება 2022-2023 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო 2024 წლის მაჩვენებელს ჩამორჩება. კერძოდ, 2022 წლის 11 თვის გადასახდელებმა 92.2 მლნ ლარი, 2023 წლის 11 თვის გადასახდელებმა 88.3 მლნ ლარი, ხოლო 2024 წლის 11 თვის გადასახდელებმა 105.7 მლნ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 544.7 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (947.0 მლნ ლარი) 57.5%-ია.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (544.7 მლნ ლარი) 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე მეტია, ხოლო 2022 და 2024 წლების მაჩვენებლებს ჩამორჩება.

2025 წლის იანვარ-ნოემბერში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2,086.8 მლნ ლარია ათვისებული, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური მოცულობის (3,125.0 მლნ ლარი) 66.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, საანგარიშო პერიოდის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი (2,086.8 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჩამორჩება.



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 320.9 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (442.0 მლნ ლარი) 72.6%-ს უტოლდება.




იუსტიციის სამინისტროს, მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში გადასახდელები (320.9 მლნ ლარი), 2022 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო 2023-2024 წლების მაჩვენებელთან შედარებით - შემცირებული.

2025 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების მესამედი (34.5%), 8,017.7 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (8,820.0 მლნ ლარი) 90.9%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (8,017.7 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.


საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-ნოემბერში ათვისებული ასიგნებები 177.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (215.0 მლნ ლარი) 82.5%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (177.3 მლნ ლარი), 2022-2024 წლების საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია.




საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 11 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 1,450.5 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,730.0 მლნ ლარი) 83.8%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-ნოემბრის გადასახდელები (1,450.5 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.




საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2025 წლის იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,212.5 მლნ ლარი ათვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,395.0 მლნ ლარი) 86.9%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 11 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (1,212.5 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით, მომატებულია.




საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 688.1 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (808.1 მლნ ლარი) 85.2%-ს უტოლდება.

მოცემული სამინისტროს, 2025 წლის 11 თვის გადასახდელები (688.1 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია.



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 11 თვის მაჩვენებელი 2,443.0 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (3,085.0 მლნ ლარი) 79.2%-ს შეადგენს.


2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (2,443.0 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.



საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 225.1 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (297.6 მლნ ლარი) 75.6%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 289.1 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (298.4 მლნ ლარი) 96.9%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (514.2 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.



დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 11 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	2025 წლის 11 თვე/ 2024 წლის 11 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	22,901.8	27,560.8	24,726.5	89.7%	1,824.7	8.0%
შემოსავლები	19,567.9	23,434.9	21,539.2	91.9%	1,971.3	10.1%
გადასახადები	18,057.8	21,885.0	19,745.6	90.2%	1,687.8	9.3%
საშემოსავლო გადასახადი	6,055.2	7,369.0	6,842.8	92.9%	787.6	13.0%
მოგების გადასახადი	2,773.8	3,070.0	2,550.2	83.1%	-223.5	-8.1%
დღგ	6,858.1	8,136.0	7,264.9	89.3%	406.8	5.9%
აქციზი	2,173.0	2,650.0	2,365.8	89.3%	192.8	8.9%
იმპორტის გადასახადი	125.6	150.0	132.1	88.0%	6.5	5.1%
სხვა გადასახადები	72.1	510.0	589.8	115.6%	517.6	717.9%
გრანტები	270.8	199.9	218.2	109.1%	-52.6	-19.4%
სხვა შემოსავლები	1,239.4	1,350.0	1,575.5	116.7%	336.1	27.1%
არაფინანსური აქტივების კლება	236.7	300.0	278.9	93.0%	42.2	17.8%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	310.2	400.0	300.2	75.1%	-10.0	-3.2%
ვალდებულებების ზრდა	2,787.0	3,425.9	2,608.2	76.1%	-178.8	-6.4%
საშინაო	1,290.1	1,600.0	1,429.4	89.3%	139.3	10.8%
საგარეო	1,497.0	1,825.9	1,178.8	64.6%	-318.2	-21.3%
გადასახდელები	22,556.7	27,941.7	23,210.2	83.1%	653.5	2.9%
ხარჯები	17,578.5	21,842.0	19,195.8	87.9%	1,617.3	9.2%
შრომის ანაზღაურება	2,298.9	3,035.0	2,597.6	85.6%	298.7	13.0%
საქონელი და მომსახურება	1,966.3	2,485.3	1,976.7	79.5%	10.5	0.5%
პროცენტი	1,408.5	1,745.0	1,575.9	90.3%	167.4	11.9%
სუბსიდიები	975.6	1,021.6	957.4	93.7%	-18.3	-1.9%
გრანტები	1,388.1	1,856.5	1,579.6	85.1%	191.5	13.8%
სოციალური უზრუნველყოფა	7,084.3	8,446.3	7,820.2	92.6%	735.8	10.4%
სხვა ხარჯები	2,456.8	3,252.3	2,688.4	82.7%	231.6	9.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,580.1	4,258.9	2,375.1	55.8%	-1,205.0	-33.7%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	219.1	424.1	320.0	75.4%	100.8	46.0%
ვალდებულებების კლება	1,179.0	1,416.7	1,319.3	93.1%	140.4	11.9%
საშინაო	34.7	42.9	32.1	74.7%	-2.6	-7.6%
საგარეო	1,144.3	1,373.8	1,287.3	93.7%	143.0	12.5%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	345.1	-381.0	1,516.3			

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 11 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	2025 წლის 11 თვე/ 2024 წლის 11 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	19,567.9	23,434.9	21,539.2	91.9%	1,971.3	10.1%
გადასახადები	18,057.8	21,885.0	19,745.6	90.2%	1,687.8	9.3%
გრანტები	270.8	199.9	218.2	109.1%	-52.6	-19.4%
სხვა შემოსავლები	1,239.4	1,350.0	1,575.5	116.7%	336.1	27.1%
ხარჯები	17,578.5	21,842.0	19,195.8	87.9%	1,617.3	9.2%
შრომის ანაზღაურება	2,298.9	3,035.0	2,597.6	85.6%	298.7	13.0%
საქონელი და მომსახურება	1,966.3	2,485.3	1,976.7	79.5%	10.5	0.5%
პროცენტი	1,408.5	1,745.0	1,575.9	90.3%	167.4	11.9%
სუბსიდიები	975.6	1,021.6	957.4	93.7%	-18.3	-1.9%
გრანტები	1,388.1	1,856.5	1,579.6	85.1%	191.5	13.8%
სოციალური უზრუნველყოფა	7,084.3	8,446.3	7,820.2	92.6%	735.8	10.4%
სხვა ხარჯები	2,456.8	3,252.3	2,688.4	82.7%	231.6	9.4%
საოპერაციო სალდო	1,989.4	1,592.9	2,343.4	147.1%	354.0	17.8%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,343.5	3,958.9	2,096.2	52.9%	-1,247.2	-37.3%
ზრდა	3,580.1	4,258.9	2,375.1	55.8%	-1,205.0	-33.7%
კლება	236.7	300.0	278.9	93.0%	42.2	17.8%
მთლიანი სალდო	-1,354.0	-2,366.0	247.2	-10.4%	1,601.3	-118.3%
ფინანსური აქტივების ცვლილება	254.0	-356.9	1,536.1	-430.4%	1,282.0	504.7%
ზრდა	564.2	424.1	1,836.3	433.0%	1,272.0	225.5%
ვალუტა და დეპოზიტები	345.1	0.0	1,516.3		1,171.2	339.4%
სესხები	215.8	421.7	232.4	55.1%	16.6	7.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	3.3	2.5	87.5	3572.5%	84.3	2571.7%
კლება	310.2	781.0	300.2	38.4%	-10.0	-3.2%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	381.0	0.0	0.0%	0.0	
სესხები	310.2	400.0	299.4	74.8%	-10.8	-3.5%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.8		0.8	
გაღდებულებების ცვლილება	1,608.1	2,009.1	1,288.8	64.1%	-319.2	-19.9%
ზრდა	2,787.0	3,425.9	2,608.2	76.1%	-178.8	-6.4%
საშინაო	1,290.1	1,600.0	1,429.4	89.3%	139.3	10.8%
საგარეო	1,497.0	1,825.9	1,178.8	64.6%	-318.2	-21.3%
კლება	1,179.0	1,416.7	1,319.3	93.1%	140.4	11.9%
საშინაო	34.7	42.9	32.1	74.7%	-2.6	-7.6%
საგარეო	1,144.3	1,373.8	1,287.3	93.7%	143.0	12.5%
ბალანსი	0.0	0.0	0.0			

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2025 წლიური გეგმა	2025 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
00 00	სულ ჯამი	27,941.7	23,210.2	83.1%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	109.3	71.7	65.6%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	91.5	57.9	63.3%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდებლო საქმიანობა	38.4	20.9	54.5%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და პარლამენტის წევრების საქმიანობა	11.0	7.9	72.0%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	42.2	29.1	69.0%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	42.1	29.1	69.1%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.0	0.0%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	15.6	12.7	81.3%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.6	78.7%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.4	0.5	34.6%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10.0	5.7	57.0%
03 00	საქართველოს ბიზნესობმუდსმენის აპარატი	1.0	0.8	83.8%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	29.0	20.0	68.9%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	25.3	20.4	80.8%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	129.1	109.4	84.7%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	33.3	26.6	79.9%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.3	1.9	82.5%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	8.3	65.0%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	80.8	72.6	89.9%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6.8	5.0	74.0%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	20.8	16.7	80.2%
09 00	საერთო სასამართლოები	164.5	114.0	69.3%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	160.0	112.4	70.2%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.5	1.6	35.5%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	12.6	6.0	47.7%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.5	1.1	77.7%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	76.6%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ყიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.5	1.2	82.2%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.3	1.1	84.7%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	75.1%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	1.1	86.8%

კოდი	დასახელება	2025 წლიური გეგმა	2025 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.9	80.1%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	1.2	74.5%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	75.7%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	226.0	190.4	84.3%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	174.0	149.9	86.1%
